დებულების დანართი 2
სამართლიანი თამაშის წესების დაცვაზე

ყველა მონაწილე ვალდებულია დაიცვას სამართლიანი თამაშის როგორც დაწერილი, ასევე დაუწერელი წესები. სამართლიანი თამაშის წესები უპირველესად მოითხოვს პატივისცემას მოწინააღმდეგის, სხვა მოჭადრაკეების, მსაჯების და გულშემატკივრების მიმართ.

წესების დაცვისთვის გატარდება შემდეგი ღონისძიებები:

1. ორგანიზატორის მიერ მკაცრად განისაზღვრება ზონები მონაწილეებისთვის (სათამაშო ზონა) და თანმხლები პირებისთვის. პარტიის დასრულებისთანავე ნებისმიერი მონაწილე ვალდებულია დატოვოს "სათამაშო ზონა".

2. პარტიის მსვლელობის დროს მონაწილეებს ეკრძალებათ "სათამაშო ზონიდან" გასვლა, კონტაქტი სხვა მონაწილეებთან, გარეშე პირებთან. მსგავსი შემთხვევის დაფიქსირებისას მთავარი მსაჯი უფლებამოსილია რეალური სიტუაციის სიმძიმიდან გამომდინარე მონაწილის მიმართ გამოიყენოს შემდეგი საჯარიმო პუნქტები : სიტყვიერი შენიშვნა, წაგების მისჯა, ტურნირიდან მოხსნა.
შემდგომი სასჯელის განსასაზღვრავად მისი საკითხი გადაეცემა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის შესაბამის კომისიას.

3. მონაწილეებს ეკრძალებათ ტელეფონის, საათის და სხვა ელექტრო ან რაიმე მეტალის შემცველი ნივთის შეტანა "სათამაშო ზონაში".

4. ყოველი ტურის დაწყებამდე მთავარი მსაჯი დაათვალიერებს "სათამაშო ზონას" და უზრუნველყოფს ზონის ნებისმიერ აკრძალული ნივთისგან განთავისუფლებას.

5. "სათამაშო ზონაში" შესვლამდე ყველა მოჭადრაკე ვალდებულია დაეთანხმოს შემოწმების მოთხოვნას, მათ შორის ხელის ელექტრო დეტექტორის საშუალებით.

6. ტურის მსვლელობის ნებისმიერ დროს ან პარტიის დასრულების შემდეგ მთავარი მსაჯი უფლებამოსილია დამატებით შეამოწმოს, მათ შორის ელექტრო დეტექტორით ნებისმიერი მონაწილე, რომელიც ვალდებულია მაშინათვე შეასრულოს მთავარი მსაჯის მოთხოვნა.

7. საეჭვო პარტიები პროგრამულად შემოწმდება.

8. მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ან თამაშის მსვლელობისას, "სათამაშო ზონის" დატოვებამდე ნებისმიერი აკრძალული ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, მონაწილეს ჩაეთვლება კონკრეტულ პარტიაში წაგება და მოიხსნება ტურნირიდან. შემდგომი სასჯელის განსასაზღვრავად მისი საკითხი გადაეცემა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის და ფიდეს შესაბამის კომისიებს.

9. ორგანიზატორი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ნივთების უსაფრთხო შენახვა.